# მომავალი

—საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი—

№ 75 ხუთშაბათი, 26 ნოემბერი 1909 წ. № 75

გაზეთი „მომავალი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. პირველ ნოემბრიდან წლის ბოლომდე თფილისში 1 მან. 60 კაპ. თფილისს გარით 1 მან. 80 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებეს ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.


ხელის მოწერა მიიღება 1910 წლისათვის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი“

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წელს გამოდის. გაზეთი წლიურათ ეღირება თფილისში და თფილის, გარეთ 7 მან., ნახევარ წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ 14 მ. წლით, ნახევარი წლით 7 მ. ხელის მოწერა მიიღება თფილისში «მომავალი»-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში პ. ურუშაძესთან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», Калистрату Конст. Цуладзе.

წარმოდგენა 18. **ქართული თეატრი** აბონიმენტი 7.

**ხუთშაბათს, 26 ნოემბერს** 1909 წელს წარმოდგენის წინ **ივ. გომართელი** წაიკითხავს ი. შილლერის ბიოგრაფიას. ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**ი. ფ. შილლერის დაბადების 150 წ. თავის აღსანიშნავათ**

## ყაჩაღები

ტრაგედია 5 მოქ. და 7 სურ. თარ. ავალიშვილისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: მ. მდივანი; ბ-ნნი: ს. სვიმონიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, შ. საფაროვი, ვ. ურუშაძე.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-დე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60კ.-მდე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე; მოწაფეთათვის 40 კ.

მზადდება წარმოსადგენათ: „ნერონი“, ტრაგედია კოსსისა, «სამეგრელოს მთავარი ლევანი», «გიორგი III»,

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

**დილით:** სადღესასწ. წარმოდგენა **დილით**

კვირას, 29 ნოემბერს, 1909 წ. ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის

30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ დილით: გადახდილ იქნება დღესასწაული გუნდისა და ორკესტრის მისალმებით, შემდეგ მიულოცავენ დაწესებულებათა, საზოგადოებათა და სხ. დეპუტაციები. გუნდი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა და ორკესტრი ზ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. დილის მილოცვ თა შორის მომღერალი **ი. ა. სარაჯიშვილი** იუბილიარს უმღერებს თავის ადრესს. დილის დღესასწაული დაიწყება 12 საათზე.

**საღამოთი**

[illegible] **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის დღესასწაულის გადახდა და მიძღოცვა ქართველ მსახიობთა მიერ. IV „ხანუმა“** 1 მოქ. ა. ცაგარლისა.

—წარმოდგენის მთელი შემოსავალი და აგრეთვე ფულით შემოწირულებანი გადაიდება ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მოხუცებულების უზრუნველ საყოფელ ფონდის გასაძლიერებლათ —

— ფულით შემოწირულებანი უნდა გამოიგზავნოს სადღესასწაულო კომიტეტის ხაზინადრის ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილის სახელზე. —

ბილეთები იყიდება 20 ნოემბრიდან ქართული თეატრის კასაში

ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობა და სადღესასწაულო კომიტეტი.


## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**გურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ძიძოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. სნებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—45)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შელავათიანი საფასურით.

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—45)

## მკერვალი ქალი

ვღებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, აგრეთვე ყოველ ნაირ თეთრეულებს.

**ადრესი:** კირპიჩნი პერეულოკი, № 2.


თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხ. ანტონ ეიხენვალდის გამგეობით დღეს, 27 ნოემბერს თფილისის ქალთა უმაღლეს კურსების ღარიბ მსმენელთა სასარგებლოთ, 1) **რიგოლეტო** 2) **კოპელია** (ბალეტი მე-2 მოქმედება).

მონაწილეობენ: ქ-ნნი ვოლსკაია, დე-ვოს-სობოლევა, ელაგინა, ზასლავსკაია, ოსსოვსკაია, ბ-ნნი: გურგონ, დემიანენკო, ბარსოვი, კორჩმარევი, ობრუბოვი, პევცოვი, სოკოლსკი.

**ფასები ჩვეულებრივია** **დაიწყება საღ. 8 საათზე.**

შაბათს, 28 ნოემბერს, gala წარმოდგენა სრული საოპერო ანსამბლით **„სიყვარულის ღამე“.** კვირას, 29 ნოემბერს, ორი წარმოდგენა: ✦ დილით დაკლებულ ფასებში 20 კაპ-ნ ✦ **„კორნევილის ზარები“** საღამოს **„ჰუგენოტები“.** მზადდება წარმოსადგენათ **„გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა“**

ქართული ავლაბრის თეატრი წარმოდგენა № 10.

**(დირექცია ამო-ხარაზიანი)**

**შაბათს, 28 ნოემბერს, 1909 წ.** ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## ქართველი დედა

ისტორიული დრამა 4 მოქ. ავქ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ✦ **ადგილების ფასი** 10 კ.-დან 80 კ.-მდე.

რეჟისორი **ს. სვიმონიძე** გამგე **თ. ნასიძე**


არც ერთ თამბაქოს ქარხანას არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ღირსებით ახლათ გამოშვებულ პაპიროსებს:

„Дружба“ И „Товарищъ“ 20 ცალი 5 კაპეიკი

ყოველ დღე იყიდება 200.000 ცალი.

იყიდება ყველგან.

**თამბაქოს ქარხანა** ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვილებით.

უზადლო თამბაქო — უზადლო თამბაქო

10—5

კბილის ექიმი

**როსტომაშვილი-ტეპაუხასისა**

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

## ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

დ. ჭიათურაში **კბილის ექიმი**

## ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.

## ბათუმში რკინის გზის შკაფი

გადმოვიდა ჩემ ხელში, ამიტომ ვაცხადებ რა, რომ შეიძლება ჩემთან შეძენა ყოველ ნაირი ქართული და რუსული ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების, როგორც ადგილობრივის, აგრეთვე სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთებისა, წიგნებისა და საუკეთესო ღია წერილებისა. აგრეთვე ჩემთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთებზე და გაზეთებში დასაბეჭდი სხვადასხვა განცხადებები, რომელიც დაუყოვნებლივ იქნება ასრულებული. ვინც ჩემგან თვიურათ გაზეთს გამოიწერს, იმას გაზეთი ჩვენი ხარჯით თავის სახლში მიუვა. საჭიროა გამოწერა—შეწყვეტის დროს ერთი კვირით ადრე განცხადება.

შკაფი ღია გვექნება მთელი დღის განმავლობაში.

(10—6) **გამგე გიორგი მახარაძე.**

**საჭიროა** არის ჟურნალ-გაზეთების გამყიდველი **დ. სამტრედიაში.** პირობების გაგება შეიძლება სად. წიგნის შკაფში. (5—1)

## საჭიროა

ჟურნალ-გაზეთების [illegible] **დ. ლანჩხუთში.** პირობების გაგება შეიძლება თფილისში, ბორჟომის ქ. № 5, რუკოვიჩთან და აგრეთვე დ. სამტრედიაში ვოგზალზედ წიგნის შკაფში **ყარამან კოპალეიშვილთან.**

## ავტომობილები

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, **ლანდო, კარეტა, კალიასკა,** ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

ეტლი 5 ან 12 ადგილიანი და სხვა და სხვა

მოგვმართოს შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zurich».

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. ბენდიანიძე. (0—17)


## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 ნოემბერი.

**საზღვარ-გარეთ**

**ათინა.** პირეიში სამეტალურგიო წარმოების მრავალმა მუშამ კრება მოახდინა. კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ მთავრობამ დიდი ბაჟები დაადვას საზღვარ გარეთიდან შემოტანილ იარაღებს და გააუქმოს ნედლ მასალაზე ბაჟი. კრებამ დეპუტაცია გაგზავნა ათინაში, რომ თავიანთი გადაწყვეტილება დეპუტატთა პალატას გადასცეს. ყველა ფაბრიკები დახურულია.

**ვაშინგტონი.** ხაზინის სტატს სეკრეტარმა წარმომადგენელთა პალატაში შეიტანა 1910—1911 წლების ხარჯთ-აღრიცხვა. ბიუჯეტის სრული ჯამი უდრის—723,223,075 დოლლარს, 123,065,403 დოლლარით ნაკლები გასული წლის ბიუჯეტზე.

**ჰამბურგი.** დღისით თვით სადგურში მოხდა გაზომეტრის აფეთქება. აფეთქების გამო ცეცხლი გაჩნდა და ძველი გაზომეტრიც აფეთქდა. ჯერ იპოვნეს 6 მოკლული. 40 კაცი დაშავდა.

**დურბანი.** თოფის წამლის ქარხანაში მოხდა აფეთქება, მოკლულია ორი ევროპიელი და სამი ადგილობრივი მცხოვრები. ერთი ევროპიელი და ხუთი ადგილობრივი მცხოვრები დაჭრილი.

**ბერლინი.** ამომრჩევლებისადმი წერილით პრინცი გოგენლოე ამტკიცებს, რომ ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა იმ პირობით მიიღო, რომ მდივნათ არ იქნება არჩეული პოლონელი დეპუტატი.

**ბერლინი.** რეიხსტაგში დასრულდა გამათი კილის ნავთსადგურის შესახებ ინტერპელიაციაზე. თავისუფალ-მოაზრეებმა და ს.-დემოკრატებმა გაკიცხეს ნავთ-სადგურის ადმინისტრაცია და მწუხარება განაცხადეს იმ მუშების დათხოვნის გამო, რომლებმაც საჩივარი აძრეს ნავთსადგურის ადმინისტრაციაზე. საზღვაო უწყების სტატს-სეკრეტარმა ტირპიცმა უპასუხა, რომ მას საქმე არა აქვს რა აზრის არიან მუშები. ის არ შეუშვებს ნავთსადგურში სოციალისტების აგიტატორებს.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოთ დასტოვა სამთო ისპრავნიკის სააპელიაციო ისაკოვის საჩივარი, რომელსაც ირკუტსკის სამოსამართლო პალატის მიერ სამსახურიდან დათხოვნა ქონდა მისჯილი.

საბიუჯეტო კომისიამ შეამცირა სინოდის ხარჯები 13,750 მანეთით.

სენატმა გააუქმა ირკუტსკის სამოსამართლო პალატის განაჩენი ბლაგოვეშჩენსკის პოლიცმეისტრის თანაშემწის ლევინის საქმის შესახებ, რომელსაც ორი თვით დატუსაღება ქონდა გადაწყვეტილი, უკანონოთ დაჭერისთვის. სენატმა ლევინი გაამართლა.

სახალხო განათლების კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი მოემატოს ჯამაგირები სახალხო სკოლების დირექტორებს და ინსპექტორებს. წლიური ჯამაგირები დირექტორებს დაენიშნება 3,600 მან. ინსპექტორებს 2,400 მან. გზის ხარჯი 600 მ.

**ლიპოვეცი.** 21 ნოემბერს დაბა ყორნიშჩეში სამი ყაჩაღ[illegible] ებრაელი და მისი ცოლი და გაიქცნენ. იგივე ყაჩაღები დღისით თავს დაესხნენ ყორნიშის ახლო კანტორას, თოფით შეკრეს კანტორშჩიკი და ბიჭი. ფული ეძებეს, მაგრამ ვერ ნახეს და გაიქცნენ.

**პეტერბურგი.** გლეხ ბელობეს, რომელსაც ქალაქის ლომბარდის კასირზე თავდასხმისათვის სიკვდილით დასჯა ქონდა გადაწყვეტილი, სასჯელი ათი წლის კატორღათ შეუცვალეს.

**ვორონეჟი.** დილით სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზის სახელოსნოში გასქდა ორთქლის ქვაბი. აფეთქება ისეთი ძლიერი იყო, რომ იქვე მყოფი დარაჯი ფანჯრიდან ქუჩაში გადაისროლა, აქედან ის იქვე მდგომ სახალხო მატარებლის ვაგონის ფანჯარაში შეაგდო და პირდაპირ ფანჯარაში გადააგდო სრულიად დალეწილი. კონდუქტორს ორივე ფეხები მოსწყდა.

**ნოვოროსიისკი.** დასრულდა ერობის შემოღების შესახებ თათბირი. შესაძლებლათ სცნეს გაატარონ 1890 წლის 12 ივნისის დებულება ზოგიერთი ცვლილებებით.

**მოგილიევი.** გუბერნატორმა პოლიციელებს 1375 მანეთი დაურიგა ავაზაკთა ბრბოს განადგურებისათვის, რომლებიც თავდასხმებს ახდენდნენ კრუპეცში.

## უკანასკნელი ფოსტა

**ოსმალეთი.**

**ბურგომისტრის წინააღმდეგ.** სამხედრო ლიგამ სამი ათასი კაცისაგან ხელმოწ. განცხადება, მიიღო რომლითაც მოითხოვენ ათინის ბურგომისტრის დაუყონებლივ გადაყენებას, ხალხი შიშობს, რომ სამხედრო ლიგამ თავისი მოქმედება კერძო პირების წინააღმდეგ არ მიმართოს.

**რუსეთი**

**„უპასუხისმგებლო ოპოზიცია.“** დუმის კომისიაში, რომელიც მუშათა საკითხის შესახებ შემუშავებულ კანონ-პროექტს იხილავს, საგულისხმიერო ამბავი მოხდა. როდესაც კომისიის უმრავლესობამ კანონ-პროექტი მთავრობის რედაქციით მიიღო, კომისიის თავმჯდომარემ, ბარ. ტიზენგაუზენმა მცირე განმარტებისათვის სიტყვა აიღო. თავის მცირე განმარტებაში, რომელიც $2^1/_2$ ნახევარს გაგრძელდა, ტიზენგაუზენმა

სთქვა, რომ კომისიის უმრავლესობა უპასუხისმგებლო ოპოზიციის შეხედულობაზე დადგა, როდესაც ისეთი ტეზისი დაამტკიცა, რომელიც ავათმყოფ მუშათა წამლობას მრეწველების სავალდებულოთ ხდის. ასეთი შეხედულობა არ შეესაბამება რუსეთის ცხოვრების პირობებს. ვაჭრობის მინისტრის ამხანაგმა ოსტროგრადსკიმ სთქვა, რომ ის პროტესტს აცხადებს ბარონ ტიზენგაუზენის სიტყვების გამო, რადგან კოიმისიის უმრავლესობამ მთავრობის პროექტი მიიღო და „უპასუხისმგებლო ოპოზიციის“ ეპიტეტი მთავრობისათვის შეურაცყოფაა.

**არალეგალური ლიტერატურა.** დუმის საბიბლიოთეკო კომისიამ დაადგინა, რომ დუმის ბიბლიოთეკას უფლება აქვს დეპუტატების შეკვეთით საზღვარ გარეთიდან არალეგალური ლიტერატურა გამოიწეროს და შეინახოს, რომ ლიტერატურით სარგებლობა შეეძლოთ მხოლოდ დუმის წევრებს.

**კადეტებისადმი უნდობლობა.** სახელმწიფოს დაცვის კომისიის სხდომას 18 ნოემბერს, სხვათა შორის, დაესწრო, კადეტი ბობიანსკი. ახარჯთა-ღრიცხვის განხილვის დროს ბობიანსკიმ სიტყვა ითხოვა. კრუპენსკიმ, როგორც კომისიის წევრმა, ამაზე უარი უთხრა იმ მოსაზრებით, რომ კომისია დახურულია და მის სხდომაზე დასწრების უფლება გარეშე პირთ მხოლოდ განსაკუთრებული ნებართვით ეძლევათო. კომისიაში კი არც ერთ კადეტს ადგილი არა აქვს. ა. ი. გუჩკოვმა განაცხადა, ბობიანსკი მე მოვიწვიეო. კენჭის ყრის შემდეგ კომისიამ ბობიანსკის სიტყვის ნება მისცა.

### საზღვარ-გარეთ

**სამი ყუმბარა.** 16 ნოემბერს სარაგოსში (ისპანიაშია) ერთი მონასტრის კარებთან სამი ყუმბარა ნახეს დადებული. ყუმბარებზე ქაღალდის ნაჭერი იდვა, რომელზედაც ეწერა: „შურის ძიება ფერერის სიკვდილით დასჯის გამო“.

**მუშათა პარტიის რეზოლიუცია.** ინგლისის მუშათა პარტიის აღმასრულებლობამ [illegible] ლორდების მიერ მდეგი რეზოლიუცია მიიღო: სახალხო თავისუფლება მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველ ყოფილი, როდესაც ზედა პალატას ქვედა პალატის მიერ მიღებული ბიუჯეტის დამტკიცების უფლება წაერთმევა.

**სტუდენტი ქალების პეტიცია.** ბოლგარიის სტუდენტმა ქალებმა მთავრობას პეტიცია წარუდგინეს, რომლითაც მოითხოვენ, რომ ქალებს უფლება მიეცეთ სასამართლოებში დამცველებათ გამოვიდენ. ქალთა კავშირი ენერგიულ დახმარებას უწევს ამ პეტიციას. პრემიერ მინისტრი პეტიციის ავტორებს დაპირდა, ყოველივე ღონეს ვიხმარ, რომ შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნესო.

**ზარბაზნები ჰაეროსტატების წინააღმდეგ** ახლანდელი ზარბაზნები, რომლითაც ყველა ქვეყნის არტილერია შეიარაღებული, ჰაეროსტატებს ვერავითარ ვნებას ვერ აყენებენ. ნიუ-იორკში არტილერისტებს 20-ჯერ უსვრიათ ზარბაზანი 500 ფუტის სიმაღლეზე აშვებულ ჰაეროსტატისათვის, მაგრამ ვერც ერთი ტყვია ვერ მოუხვედრებიათ.

**საპარლამენტო დუელი.** ბუდაპეშტიდან „რეჩს“ ატყობინებენ, რომ პალატის დეპუტატს გინტენშტეინს პოლიტიკურ ნიადაგზე შეტაკება მოუვიდა ჟურნალისტ ბასალთან. შეტაკება დუელით დასრულდა. ორივე მოწინააღმდეგენი მძიმეთ დაიჭრნენ.

## წერილები სპარსეთიდან

**პარლამენტის გახსნის მზადება.**

**1 ნოემბერი.**

რედაქცია „ირანში“ გაცხარებული მუშაობაა, მზადდება სადღესასწაულო ნომერი... რედაქტორმა და ამირეჯიბმა სიხარულით მიამბეს სახვალიო შინაარსი: ისტორიული დღე, პარლამენტის გახსნის მილოცვა, დახოცილ მებრძოლთა სახსოვრათ და სხვანი.

აქედან წავედით ქალაქის დასათვალიერებლათ, რომელიც სადღესასწაულოთ ირთვება, ქუჩები თოკებითაა ერთმანეთზე გადაბმული, რომელზედაც ფერად ბაირაღებს ნიავი აფრიალებს, სახლის კედლებს ხალიჩებით და ყვავილებით რთავენ, ხალხს სიმხიარულე და გამოცოცხლება ეტყობა. პარლამენტის წინ განიერი ქუჩა მოედანი ნაციონალური ბაირაღებით არის მორთული [illegible] კარების წინ წითელი ხავერდის გრძელი ტალავერია გაკეთებული, მაღლა სამფერი ფარჩითაა გადახურული, წინა კედელი ხალიჩებითაა დაფენილი, რომელზედაც დიდრონი სარკის კარებია შეკიდული. რიგში ახლათ შემდგარი ნაციონალური გვარდია დგას და ხალხს მორიდებით უშვებენ პარლამენტის დარბაზში. ტალავერის მაღლა ჭერში რამდენიმე დიდი ჭაღებია ჩამოკიდული, რომელზედაც ელექტრონის ძალა გაყავთ. მეჯლისის (პარლამენტის) შიგნით ეზოში შესასვლელ კარებთან ექვსი დიდი და პატარა ზარბაზანი დგას, რომელსაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში დახვრეტილ-დაფლეთილი და ხალხის სისხლით შეღებილი დროშა თავს დაფრიალებს.

პარლამენტის შესასვლელ კარებამდის ორ რიგათ ოცი წითელი ფარჩით შეხვეული სვეტი დგას, რომლებზედაც დიდრონი ჭაღებია ჩამოკიდებული და რიგზე ყვავილების რიგია ჩამწკრივებული, საიდანაც ახლათ გაშლილი მაისის ვარდი, ზამბახი და სხვანი საამო სუნელებას გამოსცემენ საამო დღის მზის სხივებზე. ყვავილების გვერდზე მოზრდილი ბაღია, სადაც დიდი აუზია გამართული და ხეებყვავილებს ახარებს, მეჯლისის ხუროთმოძღვარი ცისრუტივით ტრიალებს, მუშები ფაცურობენ. პარლამენტის ქვედა სართულში შენდება საზაფხულო დარბაზი სარკისაგან, რომელიც სპარსეთის ძველი ხელოვნებითაა ჩუქურთმით შემკობილ-მოჭრილი და მზის სხივებზე ელვარებს. მაღლა ასასვლელი კიბე ხალებით იფინება, კიდეები საუცხოვო ყვავილებით ირთვება და ელექტრონის დიდრონი ჭაღები იკიდება. კიბესთან ჩვენ შემოგვეგება 30—35 წლის მოსული, შავგვრემანი ვაჟკაცი ფარსი, რომელიც მეჯლისის დანგრევის დროს დაატყვევეს და ყელზე მობმული ჯაჭვით იყო სხვა მის ამხანაგებთან ბნელ სარდაფში კედელზე რკინის რგოლებზე ჩამწკრივებული და მიჯაჭვული. ფარსის სახე გაბრწყინვებულია, ის ერთი გამგეთაგანია აქ და დეპუტატების საკრებულო დარბაზში შეგვიძღვა, რომლის სიგრძე 20 ფეხის ნაბიჯია, სიგანე კი—45. თავმჯდომარის ალაგი მოაჯირითაა შემოვლებული, ორთავ მხარე კიბე აქვს ასასვლელი და მომაღლოზეა—ამ მხრივ ის ცოტა ჩამოგავს პარიჟვენის პარლამენტს... ტრიბუნის პირდაპირ [illegible] შუაზე თხელი ფიცრით გატიხრული ჟურნალისტ-კორესპონდენტებ-დიპლომატებისთვის. ტრიბუნაზე შემოსავლელი კარები კიბესთან გადის, რომლის გარშემო მარცხნივ და მარჯვნივ ორი დიდი დარბაზია, რომლის კარები შემდის შიგ საკრებულო დარბაზში. მარცხენა დარბაზი ევროპისათვის უცნობ საუცხოვო დაჭრილ სარკეებისაგანაა აშენებული, შუაზე სამი დიდი ჭაღია, ძირს ხალითაა მოფენილი და დეპუტატებისათვის ხავერდის სკამებია ჩამწკრივებული, სამი ფეხის ნაბიჯზე იქვე დარბაზში მაყურებელ ხალხისთვის გრძელი სკამები იდგმება. მთელი დარბაზი ტრიალებს მოსიარულე ხალხით და ჭივა; ეს ზალა გადაყურებს მოზრდილ ბაღს მარცხნივ, რომლის ხეებს ჯერ სიმწვანე არ დაუკარგავთ... მეორე ზალა მხარ მარჯვნივათ, საიდანაც მეორე ეზოს ბაღს გადასცქერის. ეს ზალა მტრედისფრათაა შეღებილი, საუცხოოთ მოხატულია და მაღლა ჭერი ვარსკვლავებითაა მოკაჭკაჭებული...

თქვენ გაკვირვებთ აქაური დამონავებულ-დაფლეთილი, ნახევრათ ტიტველი მუშების ასეთი ხელოვნების მოჭრამორთულობა, ყვავილების მოვლა, სილამაზით მოყვანა... აკვირდები მათ ჩაფიქრებულ, დაღვრემილ სახეს, დამკლავებულ გამხმარ მკლავებს, პატარა ტანს გულ-ჩავარდნილ, წელში მოხრილ არსებათ და გული გიკვდებათ.. ის დღე და ღამე მუშაობს აქ და ხვალ ამ შენობაში არც კი შემოუშვებენ. ის სისხლს ღვრიდა თავისუფლებისათვის; მან ეს მოიპოვა, მტარვალთაგან დანგრეული შენობა თავის მარჯვენით აღადგინა, გაამშვენა, გაალამაზა და როდესაც ის სალათს ძილისაგან გამოიღვიძებს, თავის საკუთარ უფლებებზე ლაპარაკს დაიწყებს, პარლამენტი მის წინააღმდეგ კანონს გამოსცემს და მისი ხელით მისი გონების დამხშობ ციხეს ააშენებიებს... და სწორეთ აქ არის ძლიერი და ბეჯითი მუშაობა საჭირო, რომ ეს ცხოვრების უკუღმართობა-წინააღმდეგობა განათებულ იქნას მათთვის...

მეჯლისის მხარ მარჯვნივ წინ მოედანზე დადგმულია სახალხო ტრიბუნა და იქვე სკოლის შენობა დიდებულათ ირთვება. ამ დროს მოვიდნენ სამხედრო და შინაგანი მინისტრები უბრალო შავი სერთუკით და პარლამენტი დაათვალიერეს [illegible] მათ თავაზიანდ, ეს [illegible] ვატყობდეს არა უმეტეს 12 საღამოს [illegible] ამბობენ, წმიდა ადგილიდან დიდი პირი, პარლამენტის გახსნის დასასწრებლათ სეიდ-აბდულა მუშტეიდი, უმაღლესი სასულიერო პირი, რომელსაც დიდი ამბით შეხვდენ ქალაქ გარეთ. ეს პირი შახმა პარლამენტის გარეკვის დროს დაატყვევა, მარა მალე განთავისუფლა. მის მოსვლას [illegible] ადლევენ და ზოგნი მის მოსვლაში კონსტიტუციის [illegible] ამაზე ეიდარ-ხანმა შენიშნა: ეს რომ მართალი გამოდგეს, ჩვენ მას იმ სახრჩობელაზე ჩამოვკიდებთ, სადაც მისი წინამოადგილე მუშტეიდი შეიხ-ფაზულაო!.

სადღესასწაულოთ ირთვება საარტილერიო მოედანი და პოლიციის შენობაზე თავისუფლების დროშებს ჰკიდებენ!...

ხვალინდელ დღეს ბავშური აღტაცებით ველოდებით და სიხარულით გვიცემს გული.

**ვლასა მგელაძე.**

## ახალი ამბები

**ახალი საპ. უბანი.** ოცდა სამ ნოემბრიდან თფილისში დაარსდა მეთორმეტე საპოლიციო უბანი.

✦ **ახალი ხიდი.** ახლო მომავალში დიდუბე საბურთალოს მიდამოების შემაერთებელ ხიდის კეთებას შეუდგებიან. ხიდს ვორონცოვ-დაშკოვის სახელი დაერქმევა.

✦ **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** იუბილეიში მონაწილეობის მისაღებათ გორის ქართველ საზოგადოებას ორი წარმომადგენელი უკვე აურჩევია.

✦ **ქალაქის გამგეობამ** გუბერნატორს დასამტკიცებლათ წარუდგინა საბჭოს დადგენილება ნაძალადევში მიწების გაყიდვის შესახებ.

✦ **ჩხრეკა სასტუმრო „დაღესტანში“.** პესკოვსკი ქუჩაზე, ღამით, 24 ნოემბერს, პოლიციამ გაჩხრიკა სასტუმრო „დაღესტანი“ და ჩხრეკის დროს სამზარეულოში ერთ ძველ ტანთსაცმელში 343 ტყვია-პატრონა იპოვა. ტანთსაცმელი, რომელშიაც ეს პატრონები იპოვეს, შუშის მაზრის მცხოვრებს ალიმ-ზეინალოღლის აღმოჩნდა. გამოკითხვის დროს მან განაცხადა, რომ 23 ნოემბერს ეს პატრონები, მან ვიღაც სომხიდან იყიდა [illegible] რონ და დაწყებული საქმე ბოლომდის მიმაყვანინონ. მოდელის გაკეთება დაჯ[illegible] ქირი მიიპყრეს.

✦ **კავკასიის მეურნეთა უკანასკნელი სხდომა** მოხდა სამშაბათს, 24 ნოემბერს.

---

## სახელმწიფო დუმა.

**კამათი პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ.**

(სტენოგრაფიული ანგარიშიდან.)

დასასრული.

**გეგეჭკორი.** მე ვამტკიცებ, ბატონებო, რომ ჩვენ ყველაფრის თავისუფლება გვაქვს, თავისუფლება გვაქვს ისეთი დანაშაულობის ჩადენისაც, რომლის გულისთვისაც სისხლის სასამართლოს წესით სჯიან დამნაშავეთ (ხმები: ასეა), მაგრამ ამ თავისუფლებით სარგებლობს მხოლოდ განსაზღვრული ჯგუფი, ეს თავისუფლება არსებობს მხოლოდ გაბატონებული, მმართველი წრეებისათვის, ჩვენ კი, მეორე მხრით, უუფლებობას, ძალმომრეობას და ბარბაროსული დაცინვის ზღვაში ვიხრჩობით.

**პურიშკევიჩი:** განა თქვენ ენის თავისუფლება არა გაქვთ? (სიცილი).

**თავმჯდომარე:** დუმის წევრო პურიშკევიჩო, გთხოვ წესიერება დაიცვათ.

**გეგეჭკორი:** ამ ბატონების თავისუფლება ისეთი თვისებაა, რომ ის სრულებით უარყოფს საზოგადოების დანარჩენი ნაწილების თავისუფლებას. მათ სურთ შეინარჩუნონ განუსაზღვრელი თავისუფლება და ამიტომ ეუბნებიან ხალხს უარს თავისუფალი ცხოვრების უფლებაზე. ამნაირათ, ყოველივე, რაც ზემოთ მოგახსენეთ, სავსებით შეეხება პიროვნების ხელუხლებლობის საკითხს. ამიტომ ჩვენთვის ადვილი გასაგებია გაბატონებული კლასების მისწრაფება, რომ ხალხს ყოველგვარი ლტოლვილება ჩაუხშონ პიროვნების ნამდვილი ხელუხლებლობის მოპოებისათვის. მე ამას ვიტყვი უკიდურეს მემარჯვენეებზე, რომელთათვის პოლიტიკური თავისუფლების განხორციელება, პიროვნების ნამდვილი ხელუხლებლობის შემოღება პოლიტიკურ სიკვდილს და მთავრობის წრეებში გავლენის სრულ დაკარგვას მოასწავებს (მარცხნით ტაში. მარჯვნით: ცდებით).

უნდა სიმართლე ვსთქვით, ბატონო დუმის წევრებო, ისინი სრულიად უტიფრათ და აშკარათ ებრძვიან ე. წ. განახლებულ წეს-წყობილებას და ყოველგვარ თავისუფლებას. მათ უკან არ ჩამორჩებიან მცხოვრებთა ის ნაწილებიც, რომელნიც დუმის კედლებში რუსთა ნაციონალისტების ფრაქციის სახით არიან წარმოდგენილნი (სიცილი) ყოფილი ზომიერი მემარჯვენენი, რომელთაც, ერთი ფრანგი დეპუტატის მოსწრებული სიტყვით თუ ვისარგებლებთ, „მკაცრ მემარჯვენეთა“ სახელი უფრო შეფერით... (ხმები: როგორ? ხმაურობა). მათთვის „მკაცრ მემარჯვენეთა“ სახელი სავსებით შესაფერია (სიცილი). ეს უკანასკნელნი სიტყვებით უფლებრივი წყობილების მომხრენი არიან, ნამდვილათ კი იმავ რეაქციონურ პოლიტიკას ანხორციელებენ, რომელსაც შეუზღუდველი თვითმპყრობელობის პარტიზანები ადგანან. პოლიტიკურ თავისუფლების საკითხში ამავე პოზიციას იცავენ 17 ოქტომბრის პარტიის წევრებიც... (სიცილი). ისინი მხოლოდ სიტყვით არიან კონსტიტუციონალისტები. მე მხოლოდ ის მაკვირვებს, რომ 17 ოქტომბრის პარტია ამ მხრივ (მარჯვნით ანიშნებს) ყოველთვის აღელვებს და უკმაყოფილებას იწვევს... თქვენ შორის ხომ, ბატონებო, არავითარი განსხვავება არ არის (მარცხნით სიცილი, ტაში, თავმჯდომარე ზარს არაწკუნებს). ისინი მხოლოდ სიტყვით არიან კონსტიტუციონური წყობილების მომხრენი, ნამდვილათ კი ისინიც ჩვენი ანტიკონსტიტუციონური მთავრობის პოლიტიკას იცავენ მისი სიკვდილით დასჯით, დახვრეტით და სამხედრო ექსპედიციებით.

**პურიშკევიჩი** (ადგილიდან) შედარებით შეურაცხყოფას ნუ აყენებო.

**გეგეჭკორი:** ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ყველა ჩამოთვლილი ჯგუფები არიან ნამდვილი სულის ჩამდგმელნი და მიზეზი პიროვნებაზე და მის უფლებაზე გამეფებული ძალმომრეობისა, იმ ძალმომრეობისა, რომლის სიმძიმის ქვეშაც მთელი რუსეთის ხალხი კვნესის. მაგზღრობას და პოლიციელთადმი მიმართვის შხამი ადმინისტრატიულ თვითნებობას შესისხლხორცებულ საზოგადოებაში იმდენათ მაგრათ არის გამჯდარი, რომ თვით მესამე ელემენტიც, რომელიც, მემარჯვენენი, თქვენ ასე ორგანიულათ გძულთ, თვით ეს მესამე ელემენტიც კი, როდესაც მისი ინტერესები პროლეტარიატის ინტერესებს არ ეთანხმება, თავს ვერ იჭერს და მიმრიცოვს უსირცხვო წინადადებით მიმართავს: „**тащить и не пущать**... (სიცილი). პროლეტარიატისა და მშრომელი მასისათვის ფრიად საგულისხმიეროთ და ძალიან დამახასიათებლათ მიმაჩნია ერთი ფაქტი, რომელსაც ადგილი კავკასიაში ქონდა (მარჯვნიდან: რომელ გაზეთში იყო ეგ ფაქტი)?

**თავმჯდომარე:** კითხვებს თავი დაანებეთ.

**გეგეჭკორი:** ეს გაზეთებიდან ამოღებული არ გახლავსთ. მე თქვენ გაგაცნობთ დადგენილებას ბაქოს ინჟინერთა კრებისას, რომელმაც გადასწყვიტა ბაქოს გრადონაჩალნიკს დეპუტაცია გაუგზავნოს და მადლობა გამოუცხადოს რეპრესიული ზომების მიღებისათვის. რეპრესიული ზომების მიღება კი გამოიხატა ბაქოს რამოდენიმე სამრეწველო რაიონში მუშაობის შეწყვეტაში და რამდენიმე ასეული მუშის ბაქოდან გადასახლებაში (მარჯვნიდან: რა მიზეზის გამო?) ინჟინერ ბორისოვის მოკვლის გამო. და თუ მესამე ელემენტი ასე იქცევა, მემამულემქარხნე, რასაკვირველია, გვერდს ვერ აუხვევს „დერჟიმორდის“ დახმარებას, რომელიც არსებითათ აღმსრულებელი მონაა მმართველი წრეების და გაბატონებული კლასების სურვილების ასეთ მომენტში, ასეთ პირობებში, ასეთ პოლიტიკურ კონიუქტურაში დგება სახელმწიფო დუმაში კანონ-პროექტი პიროვნების ხელუხლებლობის შესახებ. ჩვენ, ბ. დუმის წევრებო, ერთი მხრით, შეგვიძლია ისე შევხედოთ, როგორც საარჩევნო აღლუმს, რომელიც გამოწვეულია ოქტომბრისტების პარტიის სრული გაკოტრების შიშით, რომლის პირველი ნიშნები ჩვენ დამატებითი არჩევნების დროს დავინახეთ; მეორე მხრით,—და ამ შემთხვევაში მე ვეთანხმები ჩემს წინეთ მოლაპარაკე დეპუტატ მაკლაკოვს,—სურვილით დააკანონონ ის უკანონობა, რომელიც გამეფებულია მთელი რუსეთის იმპერიაში. ბ. დუმის წევრებო, ჩვენ დავინახეთ როგორ დაასამარეს ოთხივე თავისუფლება, რომელიც ამ ოთხი წლის წინათ დაგვპირდენ; ახლა ჯერი მიდგა პიროვნების ხელუხლებლობაზე, და მასაც იგივე ბედი მოელის, რადგან რუსეთში ყველა კანონებზე ზევით არსებობს ერთი კანონი, რომელიც ნებას აძლევს მთავრობას არ აასრულოს არავითარი კანონი—ეს გახლავთ დებულება გაძლიერებული დაცვის შესახებ. მთავრობის მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტში ხაზგასმულია ის ადგილები, სადაც ნათქვამია, რომ ავსტრიაში არსებობს საალყო წესების დებულების სასამართლო სისხლის სასამართლოს წესდების 432 მუხლის ძალით; გერმანიაშიაც, კონსტიტუციის მეშვიდე მუხლის მოსპობის დროს, არსდება სამხედრო სასამართლოები მძიმე დანაშაულობათა გასარჩევათ; საფრანგეთშიაც საალყო წესების დებულების მოქმედების დროს ზოგიერთი საქმეები განსახილველათ გადაეცემა სამხედრო სასამართლოებს—1848 წ. 9 აგვისტოს კანონის მე 8 მუხ. ძალით. ეს ისტორიული მიმოხილვა მოყვანილია ბ. გოლოლობოვის მოხსენებაში პიროვნების ხელუხლებლობის კანონ-პროექტის შესახებ, მაგრამ ბ. მინისტრს და ბ. გოლოლობოვსაც, რომელმაც პირველიდან ისესხა ისტორიული შენიშვნები, დაავიწყდათ აღენიშნათ, რომ ამ კულტურულ ქვეყნებში შთამომავლობა შთამომავლობას ცვლის და განსაკუთრებული წესების მოქმედება არავინ იცის. (გრ. ბობრინსკი 2: პრაგა?) ინგლისში იყო მაგალითები, როდესაც „ჰაბეას კორპუსის“ მოქმედება დროებით შეჩერდა, მაგრამ როდის იყო ეს შემთხვევები? 90 წლის წინათ, 1817 წელს. (მარჯვნიდან: ირლანდიაში? ინდოეთში?). ჩვენში კი უკვე სრული 30 წელიწადია, რაც განსაკუთრებულ მდგომარეობის გარეშე სხვა მდგომარეობა არ ვიცით. კარგი ხანია აგრეთვე, რაც ჩვენში მოქმედობს სამხედრო სასამართლოები, რომელთა განაჩენით უკანასკნელი წლების განმავლობაში 3.000 კაცზე მეტი დასაჯეს სიკვდილით, მაგრამ რა საჭიროა ბატონებო, ისეთი კულტურული თავისუფალი ქვეყნების მაგალითისათვის დასახელება, როგორიც არის ინგლისი, ბელგია ან საფრანგეთი? ავიღოთ ისპანია. ამ ნახევრათ აბსოლიუტურ კლერიკალურ სახელმწიფოშიაც კი სამხედრო წესები, ბარცელონის აჯანყების შესახებ გამოცხადებული, $2^1/_2$ თვის შემდეგ გაუქმებულ იქნა და მასთან ერთათ დაეცა მოროჯი მაურას სამინისტროც, რომელმაც სამხედრო წესები შემოიღო. (მარჯვნით: სიკვდილით დასჯა?) ის სამუდამო სამარცხვინო ფაქტათ დარჩება ისპანიისთვის. მხოლოდ ერთათ ერთი რუსეთია ისეთი სახელმწიფო, რომელშიდაც განსაკუთრებული მდგომარეობა ნორმალურათ გადაიქცა. ჩვენში ჩვეულებრივათ ამბობენ, რომ 30 წელიწადია, რაც განსაკუთრებული წესები არსებობენო, მაგრამ რუსეთის პოლიტიკური რეჟიმი არსებითათ ხომ 1881 წლამდისაც განსაკუთრებულ მდგომარეობას წარმოადგენდა. კითხვა იბადება, რატომ არის ეს ასე, რაშია მიზეზი ამ მოვლენისა? ჩვენ გაკვრით მოვიხსენიეთ, ბატონებო, რომ ინგლისი თავისუფალი ქვეყანაა, მაგრამ ამ თავისუფალ-კულტურულ ქვეყანაშიდაც იყო მაგალითები, როდესაც „ჰამეას კორპუსის აქტის“ მოქმედება შეჩერებული იყო. საგულისხმიეროა, როდის იყო ეს შემთხვევები ინგლისში? როდესაც ლენდ-ლორდებისა და მემამულეთაგან შევიწროებული ირლანდიის გლეხები თავის მჩაგვრელებს აუჯანყდნენ და

სიეზდმა მოისმინა წვრილი კრედიტის, კოოპერაციების და სამეურნეო განათლების სექციათა მიერ გამოტანილი რეზოლიუციები, რომელნიც უკამათოთ მიღებულ იქნა. შემდეგ ამისა ქალანთარმა და ტოტომიანცმა მოხსენებები წაიკითხეს—პირველმა, მერძეობის და სამეურნეო განათლების შესახებ, ხოლო მეორემ—ევროპის კოოპერაციების შესახებ. მან მოიყვანა იტალიის, ბელგიის, საფრანგეთის, ინგლისის და სხვა სახელმწიფოებში არსებულ კოოპერაციების შესახებ სტატისტიკური ცნობები და სხვათა შორის სთქვა: გერმანიაში ამ ჟამათ 15,000 კოოპერატიული დაწესებულება არსებობს, რაშიაც 2,000,000 წევრი ღებულობს მონაწილეობას და რომელსაც წლიური, 13,000,000, მ. საწარმოვო თანხა აქვსო. დროა, რუსეთის ინტელიგენციამაც ხელი მოკიდოს ამ საქმესაო...

✦ **პოლიცმეისტერის განკარგულება.** კერძო პირებთან უზრდელათ მოპყრობისათვის, პოლიცმეისტერმა მე-4 საპოლიციო უბნის პოლიციელი აბაშკინი 3 მანეთით დააჯარიმა.

✦ **ქართული ოპერა.** ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას განზრახვა აქვს გამართოს საშობაოთ ქართული საოპერო წარმოდგენა. წარმოდგენის შემოსავალი ხსენებულ საზოგადოების სასარგებლოთ გადაიდება.

✦ **თფილისის სამკურნალო გამგეობა** ახლო მომავალში ანგარიშებს დაბეჭდავს ამ უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში ავათმყოფობათა რაოდენობის შესახებ.

✦ **ექსკურსია.** ქალაქის სამოსწავლო კომისიამ სამი კვირის ვადა მისცა ქალაქის სკოლის მასწავლებლებს პეტერბურგში საექსკურსიოთ წასასვლელათ, იმ პირობით მხოლოდ, რომ ისინი თავიანთ ადგილებზე დროებით მასწავლებლებს მოიწვევენ.

✦ **ქართული სახელმძღვანელო „ლამპარი“.** ბათუმის ქართული სკოლის მასწავლებლებს ივლ. გოგოლაშვილს და ალ. მგელაძეს პირველ-დაწყებითი სკოლებში სახმარებელი ქართული სახელმძღვანელო შეუდგენიათ, სახ. „ლამპა-

[illegible] ''სიფილის და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. [illegible] 10½—11.
**მაცაცაიშვილი ს.** [illegible]
ველ დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი** [illegible]

✦ **პედაგოგების დადგენილება.** [illegible]ნიდან გვატყობინებენ, რომ იქ ადგილობრივ სასტატო სემინარიის დირექტორის ალ. ჰიჭინაძის რჩევით ხონის პედაგოგებს დაუდგენიათ: სათითოოთ სანიმუშო გაკვეთილები გადასცენ და შემდეგ გაკვეთილების შესახებ საერთო მსჯელობა იქონიონ. ასეთი მეცადინეობა, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობს მასწავლებელთა თვით განვითარებას და გააფართოვებს მათ პედაგოგიურ ცოდნას.

✦ **საგულისხმო ამბავი.** გაზეთ „ფონს“ ოზურგეთიდან ატყობინებენ, რომ ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებლის მე-5 განყოფილებაში ამ ჟამათ 5 მოწაფე სწავლობს, მე-6 კი—4. საინტერესოა თუ რამდენი მასწავლებელი ასწავლის ამ განყოფილებებში.

✦ **პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“** მომავალ წლის 1 იანვრიდან კვლავ გამოსვლას იწყებს თფილისში ლ. გ. ბოცვაძის რედაქტორობით. ამ ერთად ერთ სპეციალურ პედაგოგიურ ჟურნალს მთელს საქართველოში მასწავლები უყურადღებოთ არ უნდა სტოვებდენ.

✦ **ფილოსოფიური ჟურნალი.** თფილისის საბჭოს ხმოსანმა მინეევმა თხოვნით მიმართა გუბერნატორს, რათა მან ნება დართოს მას გამოსცეს ყოველკვირეული ფილოსოფიური ჟურნალი „მალოკანინი“.

✦ **ახლო მომავალში თფილისში ჩამოვა** უსახელო საზოგადოების რწმუნებული ფაინი, რომელიც მოლაპარაკებას გამართავს ქალაქის თვითმართველობასთან კონცესიისა და ქალაქის მიერ მთელ წარმოების შესყიდვის ვადის გადიდების შესახებ.

✦ **ქალაქის საბჭოს სხდომა,** მომავალ ორშაბათიდან კვირაში ორჯერ მოხდება, 1910 წლის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველათ.

✦ **ბატაილის გამგზავრება.** ტრამვაის დირექტორმა ბატაილიმ 20 ნოემბერს განცხადება გამოაკრა, სადაც აცხადებს, რომ ის ახლო მომავალში თფილისიდან წასვლას აპირებს და ხელახლათ დაბრუნდება.

✦ **ბათუმის სესხი.** ოლქის სამოქალაქო საქმეთა საკრებულომ ერთხმათ დაამტკიცა ქალაქის დადგენილება 70,000 მან. მოკლე ვადიან სესხის აღების შესა-

✦ [illegible] **სადგურის სახლოსნოები.** კავკავის რკინის გზის მმართველის ინჟინერის კრიგერ ვოინოვსკის სიტყვით, 650,000 მან. უკვე გადადებულია რკინის გზის სახელოსნოების ასაგებათ კავკასიაში.

✦ **ჰაერში მფრინავთა წესდება.** ჰაერში ფრენის მოყვარეთა წრეს ფრენის წესდება შეუდგენია და დასამტკიცებლათ წარუდგენია.

✦ **დაიბეჭდა** და წერ. კ. საზ. გამგეობაში იყიდება ახალი წიგნი „უძველესი საქართველო“. წიგნი ღირს 3 მ. 50 კ.

✦ **ქართული თეატრი.** დღეს ქართულ თეატრში ქართ. დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება შილერის 5 მოქმედ. ტრაგ. „ავაზაკები“ წარმოდგენის წინ ივ. გომართელი წაიკითხავს შილლერის ბიოგრაფიას.

✦ **სახალხო სახლში.** შაბათს, 21 ნოემბერს, წარმოდგენის დროს თეატრიდან უწესოების ჩადენისათვის გამოიყვანეს ერთი უცნობი პირი. როგორც ბოლოს გამოირკვა, უწესოების მომხდენი აღმოჩნდა ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობის წევრი ბ. ნანობაშვილი.

## მართალა საერთო არაფერია?

—

ჩამოვთვალოთ რაც გადმოუღია შანშიაშვილს როსტანის პიესიდან:

ჯერ ეს ერთი—**თხი უმთავრესი მოქმედნი პირნი.** როსტანის პიესაში: პრინცესსა გრიოზასადმი სიყვარულისგან დაავათმყოფებული მგოსანი **პრინც ჟოფრუა,** მისი გულითადი მეგობარი **ბერტრანი** (ესეც მგოსანი), ღვთის მოყვარული **ტრიფიმი** და პრინც ჟოფრუას სათაყვანებელი ოცნება. **პრინცესსა-გრიოზა მელისინდა.** (მეტათ მშვენიერი და ლამაზი ასული). შანშიაშ. დრამ. პოემაში; ოცნება სიყვარულისადმი ლტოლვილებაში და ფიქრში დაავათმყოფებული **მგოსანი,** მისი გულითადი მეგობარი **მზისავარ** (ეგეც მგოსანი), ღვთისმოყვარული **ბერი** და მგოსნის სათაყვანებელი ოცნება **სიყვარული.** (მეტათ მშვენიერი და ლამაზი ასული). დანარჩენნი უმცირესნი რეალური მომქმ. პირნი როსტანის პიესისა შანშიაშ., მკითხველის თვალის ასახვევათ, ფანტასტიურ ფრინველებათ, ავ და კეთილ სულებათ, სევდათ და სხვათ გადაუნათლია. გადავიდეთ ახლა ფორმაზე (შიგა და შიგ ლექსებსაც მოვიყვანთ.) გარდა პირველ სურათისა—(ეგეც მხოლოდ მკითხველის თვალის ასახვევათ არის ჩამატებული)—დანარჩენი ისეა, როგორც როსტანის პიესაში. **აქაც და იქაც:** *) აღელვებული, მშფოთავ ზღვაზე ნავით მისცურავს ავათმყოფი მგოსანი თავის ოცნება სიყვარულის მხარეს. (თან, სხვათა შორის, ახლავნან ზემოთ ჩამოთვლილნი პირნიც). ზღვა ჰღელავს, ბობოქრობს, ზვირთებს ზვირთებზე ისვრის... როსტანის პიესაში ღვთის მოყვარული **ტრიფიმი** (ლოცულობს):

Заступница несчастныхъ моряковъ,
Звѣзда морей, о, Дѣва Пресвятая!
Ты разгоняешь стаи облаковъ,
Волненія и бури укращая...
Мы подъ твою защиту отдались!
Пусть, наконецъ, какъ лебедь величавый,
Войдетъ корабль нашъ въ городъ Триполисъ. (18 გვ.) **)

შანშ. დრამ. პოემ. ღვთის მოყვარული **ბერი** (ლოცულობს):

ღმერთო, ღმერთო გადმოგვხედე,
ნუ, ნუ მიგვცემ მრგვინავ ტალღებს.
შენ განაგებ წყალსა, ხმელეთს,
ცაში მნათობთ და ვარსკვლავებს.
ნუ დაგვმარხავ ზღვის უფსკრულში,
მიგვაპარე შავს საფლავებს! («დრ.» № 241).

ასე მოყვანილ ამ ლექსებს (**ფორმასთან ერთათ**) სულ სხვა მნიშვნელობა აქვს არა, ბ-ნნო „დროებისტებო“?

**აქაც და იქაც** მგოსანიც და მისი მეგობარიც ერთავათ ქება-დიდებას ასხავენ ოცნება სიყვარულის (პრინცესსა გრიოზას) სილამაზეს, ჩანგზე დამღერიან მის მშვენიერებას, სინაზეს და თავიანთ მისდამი უზომო სიყვარულს .. რის შემდეგ, **აქაც და იქაც,** ავათმყოფი მგოსანი სუსტდება, გული მისდის... სწორეთ ამ დროს მიაღწევენ ოცნების მხარეს და ყველანი აღტაცებულნი ყვირიან—როსტანის პიესაში: **Земля!.. желанный берегъ!.. цѣпь лиловыхъ горъ!.. я вижу пальмы!.. Птицы!.. Вотъ гальціоны!..** (და ჩამოსთვლიან ბუნების მშვენიერებას. იხილე: **50 51** და **52 გვ.**) შანშიაშ. დრამ. პოემ. **ყველანი** (აღტაცებით): ვიშ! რასა ვხედავთ, რა არის? ტურფად რა მოჩანს შემკული? ოცნების მხარე აღთქმული! თვალთ გად გვეშალა კუნძული. აი, სამოთხე ეს არის, მრავალ ფრად აყვავებული! (და სხვა... „დროება“ 241 №) **აქაც და იქაც** მგოსანი გზავნის თავის მეგობარს ოცნება სიყვარულთან (პრინცესსა გრიოზასთან) და შემდეგს ავალებს:

მგოსანი პრინც ჟოფრუა (როსტან. პიეს.)

Бертранъ, ее ты долженъ умолить
Растрогать долженъ! Будь краснорѣчивъ,
Придумай... Нѣтъ—скажи всю правду лучше:
Скажи, что обожаю я ее,
Что за нее теперь я умираю,
Что я всю жизнь на то лишь посвящалъ,
Чтобъ воспѣвать красу ея и прелесть;
И что умру счастливѣе царя,
Когда за жизнь, что отдалъ ей, она
Подарить мнѣ одну минуту счастья.
(იხილე 61 გვ.)

მგოსანი შანშიაშ. პოემ.

მზისავარ ჩემო! შენ წახვალ,
მოივლი უცხო მხარესა;
კოშკს ჰპოვებ ტურფად ანაგებს,
ალმასებრ მოელვარესა;
იქ ჰნახავ ჩემსა სიყვარულს,
გაბადრულს, ვითა მთვარესა:
მოუთხრობ, ეტყვი ყველაფერს
ჩემსა ამბავსა მწარესა!
მე დავუძლურდი, არ ძალმიძს,
შორი მანძილი გავლიო;
მთასა ვერ აღვალ მაღალსა,
ვაი თუ სული დავლიო.
მე აქ დაგიცდი ნაპირზე,
თვალსა ცრემლ შეუშრობელი;
უთხარი, წყლულ ვარ, მსურს ნახვა,
მოუთმენელად მოველი! („დრ.“ 241)

ფორმასთან ერთათ მოყვანილი ამ ლექსსაც სულ სხვა მნიშვნელობა ეძლევა: აშკარათ სჩანს, რომ თავისუფალი ნათარგმნია. განვაგრძოთ. მგოსნის მეგობარი (ბერტრან-მზისავარი) გადავა ნაპირზე, დიდ გაჭირვებას გამოივლის, სანამ **სიყვარულის** (პრინცესსა გრიოზას) კოშკს მიაგნებს და შევა შიგ, მაგრამ იგი არ დრკება და ამბობს, რომ უთუოთ შეასრულებს მეგობრის თხოვნას. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ როსტანის პიეს. ბერტრანის სიტყვებს (ფიცს) გადმოგვცემს მესამე პირი, (რომელიც მას გზაში შეხვდება):

**Третій пилигримъ** (ბერტრანზე ამბობს)

Какъ безумный онъ клялся,
Что даже Велзевулъ не помѣшалъ-бы
Ему достигнуть цѣли. И готовъ
Я биться объ закладъ-онъ сдержитъ слово.
(იხილე 71 გვ.)

შანშ. პოემაში კი თვითონ გვეუბნება მზისავარ.

მზად ვარ გავწირო [illegible],
მაინც ხომ ვეტყვი დანაბარს,
ისე არ დავუძლურდები («დრ». № 244)

**აქაც და იქაც** აღთქმის ასრულებაში მგოსანის მეგობარს სხვები ეხმარებიან: რო-

*) [illegible] ხშირათ ვიხმართ, რომ ორთავ ავტორების გვარი და მათი ნაწარმოების სახელი წამ და უწუმ არ გავიმეოროთ.

**) ვხმარობთ შჩეპკინა—კუპერნიკის ნათარგმნს, ეფიმოვის გამოცემას, 1903 წელს.

---

მიწა და თავისუფლება მოითხოვა. ამნაირათვე მოხდა საფრანგეთშიაც, როდესაც პროლეტარიატმა პროტესტი გამოუცხადა თავის სისხლის მწოველებს და ბრძოლა დაიწყო პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლებისათვის. ამისთანა შემთხვევებში სახელმწიფოში განსაკუთრებულ წესებს აცხადებდენ, რადგან სახელმწიფოში სამოქალაქო ომი სწარმოებდა. აქედან დასკვნის გამოყვანა ადვილია: რუსეთში სულ განსაკუთრებული წესებია გამოცხადებული, მაშასადამე, რუსეთი მუდმივ სამოქალაქო ომს განიცდის (მარჯვნიდან: „ინოროდცებთან“). მართალია, „ინოროცებთანაც“. საიდან წარმოსდგება ეს სამოქალაქო ომი, სად არის მისი წარმოშობი მიზეზი, რაში მდგომარეობს ამ სამოქალაქო ომის ახსნა. ამის ახსნა ადვილია, ის მდგომარეობს (მარჯვნიდან: თქვენს არსებაში) ჩვენ არსებობაში კი არა, ბატონო სტენბოკ-ფერმორო, არამედ თქვენს არსებობაში...

**თავმჯდომარე.** პირადული კამათი უადგილოა.

**გეგეჭკორი.** ჩაიგდო-რა რუსეთი ხელში ერთმა მუჭა ისეთი მებატონეებისამ, როგორიც თქვენ ხართ, მაშინვე სამხედრო დიქტატურა გამოცხადდა და მისი მეოხებით გამაგრებულია მთავრობის სათავეში. თვითმპყრობელობის რეჟიმი თავად-აზნაურთა დიქტატურის პოლიტიკური ფორმაა, განსაკუთრებული მდგომარეობა ნორმალური პირობაა თვითმპყრობელობის რეჟიმის არსებობისათვის, განსაკუთრებული მდგომარეობა იარსებებს მანამდე, ჩვენ ამაში ღრმათა ვართ დარწმუნებულნი, სანამ ფაქტიურათ თუ იურიდიულათ იარსებებს თვითმპყრობელობის რეჟიმი. (მარცხნით ტაშისცემა). განა თანამედროვე პირობებში შესაძლებელია, ბ. დუმის წევრებო, პიროვნების ხელშეუხებლობა? გენერალი დუმბაძე, ეს სრული განხორციელებაა თანამედროვე წყობილებისა—და პიროვნების ხელუხლებლობა!.. სავალდებულო დადგენილებანი, რომელიც საზღვრავს საზოგადო, საოჯახო და პირადულ მოქმედებას—და პიროვნების ხეუხლებლობა! სახელმწიფო დუმის წევრი გიორგი გიორგის ძე ზამისლოვსკი—და პიროვნების ხელუხლებლობა! განა ასეთი შეხამება შესაძლებელია? (სიცილი ცენტრში, მარცხნით ცხარე ტაშისცემა). განა ეს შედარება, ბ. სახ. დუმის წევრებო, ყველაფერს არ ეუბნება თქვენს გონებასა და გულს? განა ყოველი ცოტათი მაინც პატიოსანი და მიუდგომელი ადამიანისათვის აშკარა არაა, რომ ჩვენში პიროვნების ხელუხლებლობაზე ბოროტი დაცინვის აუცდენლათ არ შეიძლება მანამდი, სანამ სახელმწიფოს მართვას განაგრძობს თანამედროვე მთავრობა და ადმინისტრაცია? სანამ არ შეიცვლება ადმინისტრაცია, თვითნებობაზე აღზრდილი, ადმინისტრაცია, რომელმაც არ იცის არივითარი კანონი გარდა თავისი პირადული განსჯისა, ადმინისტრაცია, რომელიც უზრდელათ და უკმეხათ გიპასუხებს კანონის ყოველ გახსენებაზე,—მანამდე ჩვენში არავითარ პიროვნების ხელუხლებლობას ადგილი არ ექნება. და აი, ჩვენ კიდევაც ვამბობთ, რომ მთავრობის და ადმინისტრაციის გამოცვლა აუცილებელი და რეალური კონსტიტუციონური გარანტიაა, რომელიც ჩვენთვის ყველაზე წინ საჭიროა. (მარჯვნიდან: ეს ნაჭერი თქვენთვის შეუფერებელია). პიროვნების ხელუხლებლობის განსახორციელებლათ სამი პირობის შეერთებაა საჭირო: პირველი, რომ არვინ არ იქნეს გაუსამართლებლათ დასჯილი; მეორე, რომ დაჭერა და დატუსაღება ხდებოდეს სასამართლოს მოხელის თანადასწრებით; მესამე, ის პირნი, რომელნიც უკანონო განკარგულებას მოახდენენ ვისიმე დატუსაღების შესახებ, მოქალაქობრივ პასუხის გებაში იქნან მიცემულნი. პირველი და მესამე პირობა ჩვენში სრულებით არ არსებობს. არ შეგვიძლია, რასაკვირველია, ვიფიქროთ, რომ ამ მხრივ რაიმე ცვლილება იქნება კანონმდებლობაში შეტანილი, სანამ დღევანდელი მთავრობა არსებობს თავისი განსაკუთრებული წესებით. რაც შეეხება სასამართლოს, რომელმაც პიროვნების დამოუკიდებლობის გარანტია უნდა მიანიჭოს, მე ვფიქრობ, ბ. დუმის წევრებო, რომ ამ კითხვის შესახებ ორი აზრი არ შეიძლება ვიქონიოთ. ჩვენ, სოციალდემოკრატები, ჩვენი სოციალ პოლიტიკური რწმენით ვფიქრობთ, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა შეიძლება განხორციელებულ იქნას მაშინ, როდესაც სასამართლო არჩევითი წესზე იქნება დაფუძნებული, მაგრამ ამ ჟამათ სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი შეუძლებელია, რადგან დუმის ტრიბუნიდანაც კი მთელი ქვეყნის წინაშე აცხადებენ, რომ თუ სასამართლო კრამოლის აღმოფხვრაში მთავრობას არ დაეხმარა, მაშინვე სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხი რეალურ ნიადაგზე დადგებაო. განა, ბატონებო, აქამდის ჯეროდა ვისმე ამ დამოუკიდებლობის არსებობა? თუ კი მართლა მოიპოვებოდა ასეთი მცირე მორწმუნეთა და გულუბრყვილოთა ჯგუფი, რომელსაც ჯეროდა, რომ ჩვენში შესაძლებელი იყო დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობა, იუსტიციის სამინისტროს უკანასკნელი დროის მოქმედებამ, რომელიც ურიცხვ პოლიტიკურ პროცესში გამოიხატა, სადაც სასამართლო მთავრობის ხელში მებრძოლ ორგანიზაციათ გამოდიოდა,—ყოველივე ამან, რასაკვირველია, გულუბრყვილოებსაც მოუკლა რწმენა. თქვენ თვითონ იყავით, ბ. დუმის წევრებო, იმის მოწამე, თუ როგორი გაცხარებით და აღელვებით ლაპარაკობდა დღეს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე დეპუტატი მაკლაკოვი, ეს ოპორტიუნიზმის მეთაური რუსეთში. ცხადია, სასამართლო თანამედროვე შედგენილობით, ახლანდელი კონსტრუქციით ვერასოდეს ვერ მოგვანიჭებს ჩვენ დამოუკიდებლობის რაიმე გარანტიებს, მაგრამ იმ შემთხვევაშიდაც კი, როდესაც არც სასამართლო, არც ადმინისტრაცია, არც მთავრობა პიროვნების ნამდვილი ხელ უხლებლობის გარანტიებს არ იძლევა, თქვენგნით წამოყენებული კანონ-პროექტი ფრჩხილებში მომწყვდეულ ხელუხლებლობასაც—სრულებით აქარწყლებს. ყველა გამოკლებანი და დამატებანი 1035 მუხლისა თქვენ მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტში, მხოლოდ მწარე დაცინვაა პიროვნების ხელუხლებლობისა და ადამიანის პიროვნების ელემენტარული უფლებისა. თუ კი რომელიმე საქმეშია, ბ. დუმის წევრებო, განსაკუთრებული გარანტიები საჭირო, გარანტიები, რომელიც მთავრობის სასამართლოს და ადმინისტრაციის თვითნებობიდან დაიცავს ადამიანს, ეს პირველ ყოვლისა საჭიროა პოლიტიკურ, ბეჭდვითი სიტყვის და სარწმუნოებრივ საკითხებში. თქვენი კანონ-პროექტი კი სწორეთ ამ კითხვების შესახებ სტოვებს ძალაში 1035 მუხლის დადგენილებებს, რომელიც ნებას აძლევს ადმინისტრაციას გაჩხრეკისას, დატუსაღებისას, გაუსამართლებლათ ციხეში დაკავებისას, მიწერ-მოწერის საიდუმლოების დარღვევისას და სხვა ასეთებისას. ეს მცირედი ხელუხებლობაც კი, რომელიც ამ კანონ-პროექტშია მოყვანილი და რომელსაც ძველი კანონებიც კი იხსენიებდა, მხოლოდ ყაჩაღების, ხაზინის მძარცველების და პაგრომშჩიკების პიროვნების უზრუნველყოფას ეხება. ბ. დუმის წევრებო, დეპუტატი მაკლაკოვი დღეს ჩვენ გვანუგეშებდა, რომ ოქტომბრისტთა ფრაქციის კანონ-პროექტი 1035 მ. მოქმედებას აუქმებს, სპობსო. მაგრამ, ბატონებო, ეს ხომ სამხედრო თვალთმაქცობაა, რომელსაც ოქტომბრისტთა პარტია გულუბრყვილოთ მიმართავს. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა სწრაფი ტემპით მიდის წინ ყველა ის საკანონმდებლო განზრახვანი, რომელსაც დუმა ადგენს. ჩვენ ვიცით, რომ ოქტომბრისტთა ფრაქციის მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი საერობო არჩევნების წესის შეცვლის შესახებ უკვე სამი წელიწადია, რაც კომისიაში ძევს და ჯერაც პირველ სტადიას არ გასცილებია. თავისთავათ ცხადია, პიროვნების ხელუხლებლობის კანონ-პროექტსაც იგივე ბედი მოელის, ე. ი. ეს კანონ-პროექტიც განუსაზღვრელი ხნის განმავლობაში მშვიდობიანათ მოისვენებს კომისიის კალათში და მთავრობა კი ძველებურათ, თავისებურათ განაგრძობს პიროვნების „ხელუხლებლობის“ განხორციელებას. ოქტომბრისტების თვალთმაქცობა აშკარაა. მათ, ერთი მხრით, სურთ საზოგადოებრივი აზრის წინაშე თავი იმართლონ, სთქვან: აი, შემოგვხედეთ, ჩვენ კანონ-პროექტში შესწორებანი შევიტანეთ და შესაძლებელი გვხადეთ მისი მიღება; მეორე მხრით, ისინი ამ კანონ-პროექტს ასამარებენ. ასე რომ, ამ მხრით ბატონებო, ოქტომბრისტების გადაწყვეტილებას არსებულ პირობებში არავითარი ცვლილება არ მოუხდენია. ამ კანონ-პროექტს, რასაკვირველია, იმ აზრით, როგორც ჩვენ გადმოგვცეს, ჩვენ ვუყურებთ როგორც ბოლოს, როგორც დასრულებას მთელი რიგი შეურყეველი კანონების დასამარებისას, იმ შეურყეველი კანონებისას, რომელიც ჩვენ 17 ოქტომბრის მანიფესტმა გვამცნო. არა თუ მარტო ჩვენ, არამედ ვფიქრობ, ცოტათ თუ ბევრათ რიგიან ლიბერალებსა და დემოკრატებსაც არ შეუძლიათ ამ დასამარების პროცესიაში მონაწილეობა მიიღონ კანონ-პროექტის დამტკიცების სახით, მაგრამ მთავრობისაგან განა რაიმე ხეირს უნდა მოველოდეთ? რასაკვირველია, არა. კაცობრიობის ისტორია, ყველა ქვეყნების კულტურის ისტორია იმას გვასწავლის, რომ პიროვნების ხელუხლებლობა იმ სახალხო უფლების ინსტიტუტებს ეკუთვნის, იმ ძირითად მოქალაქობრივ თავისუფლებას, რომელსაც არსად და არასოდეს მთავრობა თავისი ნებით არ იძლეოდა—არამედ—ხალხი ბრძოლით თვითონ იძენდა (მარცხნით ტაში). ჩვენ გვრწამს, ბატონო სახელმწიფო დუმის წევრებო, რომ ჩვენ გვექნება პიროვნების ნამდვილი ხელუხლებლობა, იმას ბრძოლით მოიპოვებს თვით ხალხი, მას რუსეთის ძლევა-მოსილი მეორე რევოლიუცია მოგვანიჭებს (მარცხნით ცხარე ტაშისცემა).

სტანის ბერტრანს—Скарчіафико, შანშიაშვ. მზისავარს ფრინველი ფასკუნჯი. მგოსანის მეგობარი კოშკში ნახავს მშვენიერ არსებას სიყვარულს (პრინცესსა-გრიოზას), რომელსაც ხელში სურნელოვანი ვარდი უჭირავს. (როსტან. პიესაში-ჯერ лилія, მერე ვარდებიც) აქაც და იქაც მგოსანის მეგობარი შევა თუ არა კოშკში, მუხლს იდრეკს სიყვარულის (პრინცესსა გრიოზას) წინაშე და ევედრება (როსტანის პიესაში ჯერ სიყვარულის ლექს ამბობს) მერე: Бертранъ

За Жофруа! За вашего поэта,
Котораго минуты сочтены;
Сказали вы, любовь близка вамъ эта,
Такъ поспѣшишь теперь къ нему должны,
Онъ умираетъ, Боже мой! Поймите!..
(იხილე 125 გვ.)

მზისავარ (შანშიაშ. პოემ.)

შენს ფერხთა წინა მუხლს ვიდრეკ,
მშფოთავი, აღელვებული;
მნათობო, შენთვის იტანჯვის,
გული მგოსნისა ვნებული.
დაუძლურებულს მიჰხედე,
აწ იგი ცოცხალ-მკვდარია;
შვების ნიავი მოჰბერე,
ცრემლი აკმარე ცხარია! („დრ." № 244)

აქაც და იქაც მგოსნის მეგობარ (ბერტრან-მზისავარ) და სიყვარული (პრინცესსა გრიოზა) ერთმანეთს ჰხიბლავენ და უკანასკნელი უარს ეუბნება არ წამოგყვები, თვითონ შენ მიყვარხარო და ევედრება ჩემთან დარჩიო. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ, ბევრი ხნის ბრძოლის შემდეგ, როსტანის ბერტრანი ულალატებს (წუთიერათ) თავის მეგობარს (მგოსან პრინც ჟოფრუას), შანშიაშვ. მზისავარსკი, როგორც კი თვალი წაუვა სიყვარულის მზერით, იმ წამს სული ხდება, კვდება. (როსტანის ბერტრანსაც მოსდის ზიანი—პრინცესსა გრიოზას კარის კაცთან ბრძოლაში იჭრება, გული მისდის). გადავიდეთ ახლა უკანასკნელ მოქმედება-სურათზე. აქ უნდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ შემდეგზე: შანშიაშვ. დრამ. პოემ. მეხუთე სურათში („დრ. № 250) ჩვენ ვხედავთ ისეთ პირებს (სიკვდილი, ლანდი სიყვარულისა), რომელნიც პოემის დასაწყისშივე („დრ". № 237) სრულებით არ არიან აღნიშნულნი მომქმედ პირთა შორის. გარდავიდა არა გაგრძელება, როგორც რედაქცია გვპირდებოდა—„შემდეგი იქნება" (იხილე „დროება" № 244). არამედ პირდაპირ ბოლო, დასასრული—(СКОМКАННЫЙ КОНЕЦЪ", როგორც ერთ-ერთმა გაზეთმა შენიშნა.) არ ვიცით, რას მივაწეროთ ეს მოვლენა: რედაქციის და ავტორის დაუდევრობას, თუ იმას, რომ უკანასკნელმა ალაგ-ალაგ ხელ და ხელ გადააკეთა თავისი „პოემა" მას შემდეგ, როცა—(დასასრულის გამოსვლამდინ)—ჟურნ.-გაზეთებმა შენიშნეს, რომ შანშიაშვ. „ოცნების მხარეს" გადმოკეთებულია როსტანის „პრინცესსა გრიოზა"-დან. ასე თუ ისე, მაინც აქაც, (მეხუთე სურათში), ბევრი რამ როსტანის პიესიდან არის გადმოკეთებული, ფორმა ხომ თითქმის უცვლელი რჩება (მხოლოდ სიყვარული ბუნდოვან ელფერს იღებს და უპირატესობას სიკვდილი ართმევს). განვაგრძოთ. აქაც და იქაც სულთმობრძავი მგოსანი ნავზე ელოდება სიყვარულის (პრინცესსა გრიოზას) მოსვლას... აქაც და იქაც ნატვრა უსრულდება მგოსანს: სიყვარული (პრინცესსა გრიოზა) მოდის მასთან. განსხვავება მხოლოდ შემდეგშია: როსტანის პრინცესსა გრიოზა მოდის ნავით, თან მოსდევს ცოცხალი ბერტრანი, შანშიაშვილის სიყვარული კი მოჰქრის ოცნების ფრთებზე, თან მოსდევს მზისავარის აჩრდილი. აქაც და იქაც მგოსანი ეუბნება: როსტანის პიესაში:

პრინც ჟოფრუა (მგოსანს)

Я вижу васъ, сбылись души мечтанья...
Принцесса здѣсь... Моя принцесса здѣсь!
(Закрываетъ глаза утомленный рѣчью).
(იხილე 206 გვ.)

(კოტა ქვემოთ)—Темнѣетъ все кругомъ!
О, Мелисанда,—(პრინცესსა გრიოზა).
Я чувствую, что ухожу!.. (იხ. 215 გვ.)

შანშიაშვ. პოემაში:

მგოსანი:

აჰა, ჩემთან ხარ, მე კი გშორდები,
ლონე მელევა, თვალთ მიბნელდება,
ბედი მუხთალი სამარეს მითხრის,
ჩემი ხანმოკლე სიცოცხლე სწყდება! („დრ."250)

ბრმა უნდა იყვეს, რომ არა სთქვას, რომ „ვოლნი პერევოდია!"

აქაც და იქაც სულთმობრძავ მგოსანს ოცნება-სიყვარული (პრინცესსა გრიოზა) აყრიან ვარდებს, აქაც და იქაც მგოსანი კვდება, აქაც და იქაც ღვთის მოყვარული ბერი (შანშიაშვილისა) და ტრაფიმი (როსტანისა) ლოცულობენ (იხილე როსტ. პიეს. 217 და 218 გვ.; შანშიაშ დრამ.-პოემა—„დრ". № 250)

მკითხველი შესცდება, თუ იფიქრებს, რომ მარტო ამით თავდება შანშიაშვილის მიერ როსტანის პიესის გადმოკეთება (ხუთ ფელეტონათ 227 გვ. წიგნისა). შანშიაშვილს თავის დრამატ. პოემაში უხვათ მიუპნ-მოუპნევია როსტანის ძვირფასი მარგალიტები-ლექსები და აზრები. მიუდგომელმა მკითხველმა გადაათვალიეროს ორთავე პიესა-პოემა და თვითონ იპოვის მაგალითებს, ჩვენ კი არც დრო გვაქვს, არც ხალისი, რომ მთელი პიესა-პოემა აქ გადმოვწეროთ! გადავიდეთ ახლა ორთავე ნაწარმოების დედა-აზრზე იგიც აქაც და იქაც ერთნაირია, მოკლეთ რომ გამოვთქვათ რუსულათ, გამოიხატება შემდეგში: красота **въ стремленіи** къ прекрасному.

„დროების" რედაქცია კი სწერს, რომ როსტანს და შანშიაშვილის ნაწარმოებს შორის საერთო არაფერიაო! თუ ამასაც გადმოკეთება არა ჰქვიან, მაშ, პირდაპირ გადმოწერა ყოფილა საჭირო?! თუ ესეც პლაგიატი არ არის, მაშ, ყმაწვილებო, ხვალვე მიუჯექით დიდებულ პოეტებს, დრამატურგებს, რომანისტებს... რამდენიმე უმცირესნი მოქმედნი პირნი ფრინველებათ, ქაჯებათ, აჩრდილებათ და სხვათ შესცვალეთ და—ქართულ პანთეონში მზათ არის თქვენთვის ადგილი! აყვავდება ქართული ლიტერატურა!

ნ. დ.

—

P. S. ეს ფაქტები უკვე ამოწერილი გვქონდა, როცა გაზ. „Нашъ Край"-ს მე-13 №-ში ბ-ნ ყარიბის წერილი გამოვიდა, რომელშიაც ის სწერს, ვითომც ა. შანშიაშვილის გამტყუნება როსტანის პიესის გადმოკეთებაში აშენებულია შურზე (ღმერთმა გვაშოროს მის „დაფნებს"!) და ვითომც მისი პოემა „ოცნების მხარეს" და როსტანს „პრინცესსა გრიოზა"-ს შუა ისეთივე მსგავსებაა, როგორც ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!" და გოგოლის [illegible] ჭავჭავაძემ ზემოაღნიშნულ მოთხრობაში შექმნა ნაციონალური ტიპები—ლუარსაბი და დარეჯანი; არ ყოფილიყო გოგოლი, ჭავჭავაძის ძლიერი ნიჭი მაინც დაგვიხატავდა მაგ ტიპებს, რადგან თვით ცხოვრებამ წარმოშობა იგინი. არ ყოფილიყო როსტანის „პრინცესსა გრიოზა"—არ იქნებოდა შანშიაშვილის „ოცნების მხარეს"-აც, რომელშიაც სამი მეოთხედი როსტანიდან არის გადმოკეთებული. ასეთივეა ყარიბის დანარჩენი „პარალელებიც"! არას დროს არც პუშკინს, არც ლერმონტოვს და არც ალექსეი ტოლსტოის არ უსესხია ბაირონიდან მაგდენი, რამდენიც შანშიაშვილმა როსტანის პიესიდან გადმოიღო და, თუ მაგის ნატამალიც კი ჩაუდენიათ როდისმე, ყოველთვის აღუნიშნავთ: подражаніе, заимствована форма, идея და სხ...

შანშიაშვილმა არ აღნიშნა, რომ მისი პოემა გადმოკეთებულია როსტანის პიესიდან და ჩვენც ეს ვუკიჟინეთ მას. ვიმეორებთ, თუ საკმაო არ არის ზემოჩამოთვლილი ფაქტები, გამოგვიწვიოს სამედიატორო სამართალში და დანარჩენსაც იქ დავუმტკიცებთ!*)

ნ. დ.

*) რედაქციას სწორ გზათ მიაჩნია ნ. დ. წინადადება სადაო კითხვა გამოსარკვევათ და საბოლოოთ გადასაჭრელათ გადაეცეს ლიტერატურის მცოდნე პირთაგან შედგარ სამსჯავროს. რედ.

## წერილი სიღნაღიდან

დრონი იცვალნენ, ქვეყანა უცვლელი არაფერი რჩება და სიღნაღის მცხოვრებთაც, დაეტყოთ წინმსვლელობა, ამას გვიმტკიცებს ამ უკანასკნელ დროს მათი გათვითცნობიერება, ამას გვიჩვენებს უკანასკნელი ქალაქის ხმოსანთა არჩევნები. ამ არჩევნებმა ნათლათ დაგვანახვა, რომ სიღნაღის მცხოვრებთა დიდი უმეტესობა ბრმათ აღარ ემორჩილება იმ ერთ მუჭა არა მკითხვებს, რომელნიც დღემდის პატრონათ ევლინებოდნენ ქალაქს. დღედის ქალაქის სათავეში ჩამდგარნი თავიანთის ვერაგულის ქცევით სიღნაღი წინ მსვლელობის მაგიერ უკან უკან წაიყვანეს. დღემდის თუ ქუჩებში ორმოები არა გვქონდა, დღეს ამასაც მოვესწარით. დიდი სიფრთხილე გვჭირია, რომ ქუჩაში არსად ჩავიჩეხოთ და ავდარი კიდევ ხომ მთლათ გვიკრძალავს ქუჩაში გამოსვლას. თვით მთავარი ადგილი ქალაქის, ბულვარი, ხევის პირს მოგაგონებთ. თიატრი, სამკითხველო და სხვა კულტურული საქმე ჩვენი ქალაქის გამგეობას აზრით სიღნაღის მცხოვრებთა დამღუპველია, არავითარი ანგარიში. ხალხის მოთხოვნილების აბუჩათ აგდება—აი რით ხასიათდება ჩვენი მამების მოღვაწეობა დღემდის. მაგრამ, დღეს მათდა საუბედუროთ მათი განკითხვის დღე დადგა. ხალხი გონს მოვიდა და არჩევნებში ხმის მიცემის მაგიერ ზიზღით დაუწყეს მათ ყურება. ახლა, როგორც ირკვევა, ამ ვაჟბატონებს უმოქმედობის გარდა, კარგა ბლომა ფულებიც შეუცანცლიათ. როგორც მკითხველმაც იცის, წელს, 31 იანვარს ახალი ხმოსნების არჩევნები მოხდა. ზემოხსენებული ჯგუფი ჩვეულობრივი იმედით შეუდგა არჩევნებს, მაგრამ თურმე ნუ იტყვით, მოქალაქეთ მათთვის ზურგი შეექცევიათ და ახალი კანდიდატები წამოაყენეს, ეს ვერ მოითმინეს ქალაქის ტკბილ ლუკმა ჩვეულებმა ვაჟბატონებმა და შეეცადენ არჩევნების გაბათილებას, მაგრამ ამაოთ. ყოველივე ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა და ახალი ხმოსნების სია დაამტკიცეს. სხვათა შორის ახალი ხმოსანთა წრეში მოყვა ახლანდელი ქალაქის თავი ვარდო ენიკოლოფოვი. ეს იყო მიზეზი, რომ ძველი მეგობრები ორ ნაწილათ გაიყვნენ. ერთი ჯგუფი ეკუთვნოდა ქალაქის თავ ვარდოს, მეორე ქალაქის თავობაზედ სადღეღელ ამირანს. პირველს ისევ ქალაქის თავათ დარჩენის იმედი ქონდა და ამისათვის სდუმდენ. ამირანის ჯგუფი კი თავიდანვე შეუდგა დემაგოგიას და ვინ ჩამოსთვლის, რა სახელით არ მონათლეს ახალი ხმოსნები, არავითარ საშვალებას არ ერიდებოდენ მათ წინააღმდეგ, ოღონდ ხალხის თვალში მათთვის ნდობა დაეკარგათ. ასეთი აგიტაცის მიუხედავათ, ახალი ხმოსნები შეუდგენ საქმეს „თფილისის ფურცელში" მოთავსებულია შავი ჯგუფის წერილი, რომ: ხმოსნებათ „მენახშირეები" აირჩიე[illegible] დაგვანახვეს, რომ „მენახშირე" ხმოსნები უფრო საქმეს გაგვიკეთებენ, ვიდრე უსაქმოთ მოხეტიალე ბულვარს წევრი ამირანები. 3 სექტემბერს შესდგა ხმოსანთა მე-4 ჩვეულებრივი კრება. სხვათა შორის, ამ დღეს განსახილველი იყო მომავალი ქალაქის თავის და მისი ამხანაგის ჯამაგირის დანიშვნა. და მოხსენება სარევიზიო კომისიის 1908 წ. ანგარიშისა.

ამაზე წინანდელი წლების ანგარიშები მთლათ უკანტროლოთ არის ნაწარმოები. ამ კითხვების განხილვის დროს გუბერნატორის ნებართვით თავმჯდომარეობდა ხმოსანი ნ. გოცირიძე. კითხვების განხილვის დროს სამოქალაქო წესების 120 მუხლის ძალით ქალაქის თავი და მისი თანაშემწე კრებიდან დაითხოვეს. თუმცა ბევრი ემუდარა ბ. ვარდო, მაგრამ ამაოთ, ხმოსნები მეტათ შეუპოვრებლები აღმოჩნდენ და მაინც არ დაუშვეს კრებაზედ. სარევიზიო კომისიის წევრი იყვენ: ს. ტერ-ყაზაროვი, დ. ნადირაშვილი და ონიანოვი. მათ განაცხადეს, რომ კომისიამ აღმოაჩინა ქალაქის თავის ენიკოლოფოვისგან 1908 წლის დახარჯულ ფულში უკანონო 1818 მ. 20 კაპ. და უსაბუთოთ დახარჯული. კრებამ მოსთხოვა ქალაქის თავ ენიკოლოფოვს, რომ საბუთი წამოეყენებინა 29 სექტემბერს, მაგრამ ბ. ვარდომ საბუთების მაგიერ ქალაქის თავის არჩევნები წამოაყენა, რომ ეგებ ფონს გასულიყო და ტკბილი ლუკმა შეენარჩუნებინა, მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა. ხმოსნები მაზედ ჰკვიანები გამოდიან და კრებაზედ არ მიიცადენ, რაკი გაიგეს რაშიც იყო საქმე. ახლა კი დარწმუნდა ბ. ქალაქის თავი, რომ მისი საქმე განსაცდელში იყო. გაიგეს ვარდოს დამქაშებმა, რომ ვარდოს აღარ ირჩევენო და მათაც მიმართეს ამირანის ჯგუფის მაგალითს, დაიწყეს ჭორიკანობა ხმოსნებზედ, ზოგი სოციალისტათ მონათლეს, ზოგი არა კეთილ საიმედო პირათ და აფრინეს თხოვნები სადაც ჯერ არს. მართლაც, ვარდოს ცდამ გასჭრა და მალე ორი ხმოსანი გადააყენეს, დანარჩენებს რა მოელის ეს ჯერ არ ვიცით, ბ. ვარდო არა მალავს თავის საგმირო საქციელს და ამბობს: ჩვენი ერთათ ყოფნა შეუძლებელია: დღისით ჩემთან მსახურებთ, ღამე კრებაზედ მარცხვენთო. ბატონ ქალაქის თავის ასეთმა საქციელმა ხმოსნები მოთმინებიდან გამოიყვანა და თხოვნით მიმართეს თფილისის გუბერნატორს და ამ დღეებში რამდენიმე ხმოსანი წავიდა თფილისში, რათა სთხოვონ ბ. გუბერნატორს, რომ დანიშნოს სიღნაღის ქ. თვითმართველობისთვის რევიზია და გამოარკვიონ ბატ. ვარდო ენიკოლოფოვის საქმენი საგმირონი. ვნახოთ, რას მოგვიტანს ახალი რევიზია, რომელსაც დაპირებია გუბერნატორი. ეს კია, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ბ. ენიკოლოფოვი ქალაქის თავობას ველარ იხილავს. ამირან—ვარდომ ხალხისგან დაიმსახურეს ის, რასაც დღეს ისინი განიცდიან. დასასრულ არ შემიძლია ხმოსანთა ყურადღება არ მივაქციო ქალაქის თავის ახალ არჩევანზედ, საჭიროა ბბ. ხმოსნებმა ქალაქის საქმეებს ენერგიული კაცი ჩაუყენონ სათავეში და არა ისეთები, როგორც იყვენ წინანდელები. სიღნაღს ბევრი საქმე აქვს საკეთებელი და ამისათვის საჭიროა საქმის მოყვარული და ენერგით აღსავსე პირი.

ბოგანო.

# უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

**ავგუსტ ბებელის იუბილეი.**

გერმანიის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ბელადს, ავგუსტ ბებელს, მომავალი წლის დამდეგს 70 წელი შეუსრულდება (ის დაიბადა 1840 წელს) დაბადებიდან 70 წლის თავის აღვნიშვნასთან ერთად იმ ხანებში, აზრათ აქვს გერმანიის მუშათა კლასს იდღესასწაულოს ბებელის 43 წლის პარლამენტარული და აგრეთვე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა. პირველი საპარლამენტო სიტყვა ბებელმა წარმოსთქვა ჩრდილო-გერმანიის კავშირის რეიხსტაგში 1867 წ.

ამ ჟამათ შტუტგარდში გამოვიდა ბებელის წიგნის „დედაკაცი და სოციალიზმის" მე-50 გამოცემა, რომელიც, ეჭვი არაა, იუბილეის თვის მზადების დაწყების წინამორბედია.

ბებელი როგორც იშვიათი ადამიანი და საუკეთესო ორატორ-აგიტატორი, მასთან ერთად აღმოცენებულ სოც.-დემოკრატიულ პარტიაში, ყველასათ[illegible], ეს [illegible] პატრობდეს არა უმეტეს 12 ბელადია, მარა როგორც [illegible] სახელი არ ამოიშლება შთამომავლობის ხსოვნიდან თუ გინდ მარტო იმიტომ, რომ მან დასწერა „დედაკაცი და სოციალიზმი". ამიტომ, როგორც ვიცით, ხსენებული წიგნის თვალსაჩინოთ შევსებულ-შემუშავებულათ გამოცემა ბებელის საიუბილეოთ მზადების დაწყებაა, ვინაიდან, 30 წელია მას შემდეგ, რაც ხსენებული წიგნი პირველათ გამოვიდა და ამ ხნის განმავლობაში სხვათა შორის სწორეთ ეს წიგნიც უხვეჭდა ბებელს სახელს არა თუ საკუთარ პარტიაში და პროლეტარულ წრეებში, არამედ—მის გარეშეც.

თუ „ყველა წიგნს თავისი ბედი" აქვს, ამ მხრით ბებელის წიგნი ყველაზე უფრო საინტერესოა. ერთი შეხედვით კაცს გაუკვირდება—როგორ მოხდა, რომ ეს უბრალო უნტეროფიცრის შვილი, ხელობით ხარატი (ТОКАРЬ), რომელმაც სწავლა სოფლის სახალხო სკოლაში მიიღო, გახდა სქელ-ტანიანი წიგნის ავტორი, სადაც თავმოყრილია გამოკვლევანი მეცნიერების ყველა დარგიდან. ამასთან, არ არის ინტერესს მოკლებული, თუ რატომ უძღვნა მან თავისი უმთავრესი შრომა ქალთა საკითხს. ამის შესახებ თვით ბებელი ამბობს, რომ, როდესაც საფრანგეთის სოციალისტების და კომუნისტების შესწავლას მივყავი ხელი, რომლებიც თავიანთ თეორიებში მუდამ ეხებოდენ ქალთა საკითხს, შევნიშნე, რომ როგორც ნემეცურ, ისე საზოგადოთ სოციალისტურ ლიტერატურაში ამ მხრით დიდი ნაკლია—კითხვა არ არის შესაფერათ გარკვეული, აი, სწორეთ ამის მიზეზით შევუდექი ხსენებული კითხვის შემუშავებასო.

საინტერესოა თუ რა პირობებში უხდებოდა მას მუშაობა. პოლიტიკური მოღვაწეობის პირველ ხანებში ბებელს წილათ ხვდა ციხეში ჯდომა, სადაც 5 წ. გაატარა. ციხეში ის უმეტეს ნაწილათ ლიბკნეხტთან ერთად იყო. ბებელს ხშირათ უთქვამს, რომ ციხეში გატარებული დრო მისთვის სასარგებლო იყო—როგორც ფიზიკურის, ისე გონებრივის მხრით. გუბერტსბურგის ციხეში ის დავადმყოფებული ჩაჯდა, ფილტვები სტკიოდა, მარა იქიდან ისე ჯანმრთელი გამოვიდა, რომ რამდენიმე წელიწადს ისეთი თავგამოდებით მუშაობდა პარტიაში, რომ თავიც არ სტკენია. აუტანელმა ფიზიკურმა მუშაობამ ლუკმა პურის მოსაპოვებლათ, იმდენათ მოშალა მისი ორგანიზმი, რომ აღარ შეეძლო სწავლა-განათლების გასავრცელებლათ ეზრუნა. სწავლა-განათლებისათვის ის მხოლოდ ციხეში ზრუნავდა. ციხეში მას დიდ დახმარებას უწევდა ლიბკნეხტი. მისი დახმარებით ბებელმა ციხეში შეისწავლა ინგლისური და ფრანგული, ლიბკნეხტისავე ხელმძღვანელობით ის სწავლობდა ისტორიას და პოლიტიკურ ეკონომიას. შრომის მოყვარეობამ და ნიჭმა მას ხელი შეუწყო, რომ ციხეში შეეძინა საჭირო მეცნიერული ცოდნა, ურომლისოდაც პარტიის ბელადობა შეუძლებელი იყო. „უნივერსიტეტში" (ციხეში) ბებელი მე-70 წლებში „იყო" (იჯდა). მისი წიგნი პირველათ გამოვიდა 1879 წელს. წიგნის გამოსვლამდე რამდენიმე თვით ადრე ძალაში შევიდა კანონი სოციალისტების წინააღმდეგ. სოციალისტურ ლიტერატურას სასტიკათ სდევნიდენ. ვინც ასეთ ლიტერატურას გაავრცელებდა, ნახევარი წლით ციხეში აჯდენდენ. პირველათ წიგნი თუმცა ლეიპციგში დაიბეჭდა, მაგრამ ციურიხში გამოცემულათ ითვლებოდა. ამასთან, წიგნის სახელი იყო, რომ სოციალიზმი არ ეხსენებოდა—„დედაკაცი, წარსულში აწმყოში და მომავალში". 1890 წლამდე წიგნი 8-ჯერ გამოიცა; წიგნის გავრცელებას ნაკლები დაბრკოლებები ეღობებოდა წინ, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ მას თანაგრძნობით ეკიდებოდა საზოგადოების ბურჟუაზიული ნაწილი. ბებელი მოგვითხრობს, რომ ჩხრეკის დროს ხშირათ ჩავარდნია პოლიციას ხელში წიგნის რამდენიმე ეგზემპლიარი, ან მთელი ტრანსპორტი გასაგზავნათ გამზადილი, მარა წიგნის შინაარსს ისე გაუტაცებია ისინი, რომ ხშირათ წაუკითხავთ როგორც თვითონ პოლიციის მოხელეებს, ისე მათ მეგობარ-ნაცნობებს. სოციალისტების წინააღმდეგ კანონის გაუქმების შემდეგ ბებელმა წიგნი გადაათვალიერა[illegible] რონ და დაწყებული საქმე ბოლომდის მიმაყვანინონ. მოდელის გაკეთება დაჯ-15 [illegible] (ქართულათ [illegible] არის გადათარგმნილი). წიგნის შემოსავალმა უზრუნველყო ბებელის ცხოვრება: ამის შემდეგ პარტიული კასიდან დახმარების მიუღებლათ ის მთელი თავისი ძალ-ღონით განაგრძობდა პარტიულ მუშაობას.

ხსენებული წიგნი გულის მოსახებელი საკითხავი (душеполезное чтеніе) წიგნი იყო გერმანიის სოციალდემოკრატიისათვის განსაკუთრებით იმ ხანებში, როცა პარტია სოციალისტების წინააღმდეგ კანონებით შევიწროვებული იყო. მეცნიერების წინასწარმეტყველებასთან ერთათ შეერთება, რასაც ბებელის წიგნი შეიცავს, ის მომხიბვლელი სურათი მომავალ წყობილებისა, რომელიც წიგნში აწერილია, გერმანელ მუშათა დატანჯულ სულს ამხნევებდა და იმედს უნერგავდა ბრწყინვალე მომავალისას. წიგნის უკანასკნელი, მე 50 გამოცემა, ბებელს გადაუთვალიერებია რუსეთის სოციალისტურ ლიტერატურაში ცნობილ ნ. რიაზანოვის თანამშრომლობით, რისთვისაც მას ბებელი წინასიტყვაობაში უღრმეს მადლობას უძღვნის ამ ჟამათ ბებელი ამთავრებს. ის ამზადებს ახალ წიგნს—როგორც ამბობენ—თავის მემუარებს. *).

*) მემუარები მოკლე წერილებია ამა თუ იმ ისტორიული შემთხვევების შესახებ, რომლებიც ავტორს თვითონ უნახავს.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი


## გამოცდილი მასწავლებელი.

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის

იკითხეთ „მომავალის" რედაქციაში, რუსის ქუჩა № 3. (0—34)

კანტორა და სკლადი

## ი. ახოზაძისა

გადავიდა ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 14 ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

სკლადში იმყოფება შემდეგი წამლები:

„სპერმატინი"

ავათმყოფებს და სუსტებს. ფლ. 2 მ. 40 კ.

„ალმეზა"

რომელიც აცხრობს უცბათ კბილის ტკივილს ნორმ. ფლაკ. 1 მ. 20 კ. სატკელი 40 კ.

„კლაპოვნი" სპობს ბაღლინჯოებს და მათ კვერცხებს, ფასი 35 კ. სალიუბლინი პროფესორ გიუმონდის სესუნატისა არჩენს ძველს და ახალს. ფასი ფლ. 2 მ. 50 კ.

„პრიმა" სპობს თმის ქერწლსა და აჩერებს თმის ჩამოცვენასა. აგრეთვე ზრდის თმასა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.

მსურველთ ვუგზავნით ფას დადებითი. ბროშიურები უფასოთ. 30—21